№ 193. 13 სეკტემბერი, შაბათი. 1866—1880 13 სეკტემბერი, შაბათი. № 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, სასახლის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით [illegible] ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ენკენისთვიდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს სამი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ჰაზრი თავისუფალი და ცენზურა

ტფილისი, 12 ენკენისთვეს.

გუშინდელ „დროების“ ტელეგრამმას წაიკითხავდით. მმართებლობა აპირებს ბეჭდვის მთავარ სამმართველოს გაუქმებას და პროვინციალური ბეჭდვის დათანასწორებას სატახტო ქალაქების ბეჭდვასთან...

საკვირველია, სწორეთ, დროების ჩარხის ბრუნვა.

მოხვდება ისეთი მომენტი საზოგადო ისტორიულ ცხოვრებაში, როდესაც დროების მორევი ამოისვრის ისეთ შემთხვევას, ან ისეთ ისტორიულ პირს, რომელთაც არა აქვს არავითარი კავშირი თავის დროებასთან და, შემდეგ, ესვე დროება დაუწყებს ბრძოლას ამ თავის უკანონოდ შობილს და იქამდის ებრძვის, სანამ არ წააქცევს, ან, როგორც სატურნი, არ გადაყლაპავს ამ თავის მოუფიქრებელ ქმნილებას.

კაცის „ჰაზრსაც“ სწორედ ამ გვარი ბედი ეწია. ქრისტეს შემდეგ პირველ საუკუნოებშივე დროებამ ისეთი ისტორიული შემთხვევაები და ისეთი ისტორიული პირები წამოაყენა, რომელთაც, თავისი პოლიტიკური და რელიგიური მოსაზრებისა გამო, ეჭირვებოდათ, რომ აეკრძალათ იმ ჰაზრების ქადაგება და წერა, რომელნიც იმათი მიზნის წინაალმდეგნი იყვნენ. ამ შემთხვევაებმა და ისტორიულ პირებმა, ამ მოსაზრებათა გამო, თავის რელიგიურ და პოლიტიკურ სამეუფოში დააწესეს კარანტინი, რომელშიაც მხოლოდ იმ გვარი საქონლის გაშობა შეიძლებოდა, რომელიც თითონ ესიამოვნებოდათ იმ პირთა...

რაც უნდა გენიალური ჰაზრი წარმოეთქვა ვისმეს, რაც უნდა ჭეშმარიტება ეპოვა, თუ ეს ჰაზრი და ჭეშმარიტება არ იყო თანახმა იმ სორტის ჰაზრებთან, რომლებიც იყო მოთავსებული იმათ თავში იმათი წიგნები ცეცხლში უნდა დამწვარიყო და თითონ იმათ უნდა ხწეოდათ ის ბედი, რაც ეწია გალილეის, ჯიორდანო-ბრუნოს, სპინოზას და სხვ. და სხვ. აქ გვარათ კაცის ჰაზრს წაართვა დროებამ თავისუფლება. ჭეშმარიტების მცველი მხოლოდ ისინი იყვნენ. თქვენ რომ სთქვათ ორი და ორი ოთხიაო, ქვეყანა ტრიალებსო, დაბადების განმარტება ჩვენი ჭკუიდამ უნდა იყოს დამოკიდებულიო — სულ უბრალო შრომა იქნება. ეს ან არისტოტელს არ უთქვამს, ან მოციქულებს, ან სხვა წმიდა მამებს. თუ იმათ არ უთქვამთ ეს, თქვენმა ჭკუამ ან კი რა უნდა გასჭრასო და სხვ. ეს პოლიტიკა იმათი სისუსტის საფუძველი იყო. ხალხში არ ვრცელდებოდა მოწინავე კაცების ჰაზრი და ისტორიული პირები ხალხის უმეცრებით სარგებლობდნენ.

მაგრამ ამავე დროებამ, რომელმაც ამ გვარი ზღუდე აუშენა წინ კაცის ჰაზრის პროგრესს, ნელ-ნელა, თითო-თითო აგურის გამოცლით, წააქცია ეს ზღუდე და ჰაზრს მიეცა თავისი თავისუფალი მსვლელობა, — 1515 წელში პაპა ლეონ X-საგან მოგონილი ცენზურა ჯერ გავრცელდა მთელს ევროპაში, და მერე ცოტ-ცოტაო, დროებისვე ნება-ყოფლობით მოისპო. ინგლისში მოისპო 1694 წელს, დანიაში 1770-ს, შვეციაში 1809-ს, საფრანგეთში 1827-ს და გერმანიაში 1848 წ.

ამ ქვეყნებში ცენზურა მოსპობილია, მაგრამ, ინგლისს გარდა, სხვაგან ჯერ კიდევ არ არის ბეჭდვა სრულებით თავისუფალი ცუნზურიდამ. ყველაფერის ბეჭდვა კი შეიძლება, მაგრამ დაბეჭდვის შემდეგ პასუხს აგებს რედაქცია, თუ რომ წინაალმდეგი დაბეჭდა.

ამ დროებით ცენზურა მოქმედობს რუსეთში და, ზოგიერთა თხზულებათათვის, ისპანიაში, პორტუგალიაში და იტალიაში.

რუსეთში მოქმედობს ორ ნაირი ცენზურა: ერთი პეტერბურგისა და მოსკოვისათვის იმ საფუძველზე, რა საფუძველზედაც არის ცენზურა სხვა ქვეყნებში, ე. ი. რედაქცია პასუხის მცემელია შემდეგ დაბეჭდვისა (**карательная цензура**); მეორე — მთელი დანარჩენი რუსეთისთვის ეს ცენზურა (**предварительная**) მდგომარეობს იმაში, რომ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები უნდა იყვნენ გამოცემულნი ცენზურის ნება-რთვით. ამ საფუძ-

---

დროების ფელეტონი, 13 ენკენისთვე

## ჩვენი მტერ-მოყვარენი

საკვირველად დახელოვნდა ხალხი!.. მოიგონეს ისეთი მაშინა, რომლითაც მსურველს შეუძლიან დაელაპარაკოს თუნდა ათას ვერსს იქითგან! მოიგონეს კიდევ ისეთი მაშინა, რომელშიაც თქვენ ხმას ჩაჰბეჭდამენ, დაჰკეტენ და ათასი წლის უკან, რომელსამე თქვენს შთამამავალს შეუძლიან ამ მაშინის შემწეობით გაიგონოს თავის წინა-პარის ხმა!.. მაგრამ ჩვენ რა?.. ეს ყველა სამძლვარს გარეთა ხდება და იმათთვის უნდა იყოს სასიხარულო. ნუ თუ ჩვენში აღარას იგონებენ?.. ო, როგორ არა? ბევრს, ძალიან ბევრს!.. და ეს ბევრი, ბევრად უფრო შესანიშნავნი, ბევრად უფრო გასაკვირველი არის, ვიდრე ედისონის აპარატი... ჩვენში ისეთი ოსტატები და მეტამორფოზისტები არიან, რომ თვით ედისონს გააშტერებდნენ და იაბლოჩკოვს მოასურვებდენ ამათთან შეგირდათ შესვლას... „რას ამბობს, რაებს რაპარაკობს?“ იკითხავს გაშტერებული მკითხველი და მერე დაუმატებს: „თუ მართლა ეგეთი ხალხი გვყავს, მაშ სად არიან? რატომ ჩვენ არ ვიცით?“ მექნება პატივი შეგატყობინოთ, რომ სრულს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ და ნამდვილად იპოვება ჩვენში ამ გვარი ხალხი და თუ ჩვენ ვერ დაგვინახია, ეგ იმათ უმოქმედობის მიზეზი კი არ არის, არამედ ჩვენი უმეცრება გახლავს... ჩვენ არ გახლავართ მომზადებულნი და განათლებულნი, მაშ რასაკვირველია, რომ ჩვენთვის სასარგებლო ხალხის მოქმედობა ვერ დავინახეთ, თორემ როგორ არ არიან?.. არამც-თუ არიან ისეთებიც კი არიან, რომლებსაც.... მაგრამ მაგალითებით დავიწყოთ ის ემჯობინება. ედისონს რომ რისიმე გაკეთება უნდოდეს, ამისთვის იმას ეჭირება მასალა და მხოლოდ ამ მასალის საშუალებით შეუძლია დაბადოს რომელიმე ნივთი: ჩვენს, პატივ-საცემს, გამომგონებს კი არავითარი მასალა არ ეჭირებათ!! — იტყვიან: „გაჩნდეს ეს და ეს“ და მაშინათვე გაჩნდება!.. აბა ახლა თქვენა ბძანეთ, ვინ უფრო გასაშტერებელი ხელობის ყოფილა: ბ. ედისონი, თუ ის გამომგონები, რომლებიც ჩვენში იბადებიან?.. მართალია, ეს უკანასკნელები, სამწუხაროთ, კავკაზიას არ ეკუთვნიან და არიან სხვა და სხვა ქვეყნებიდამ მოსულნი, მაგრამ ისინი ხომ მაინც კავკაზიაში მოსულან და სცხოვრებენ?.. მაშასადამე ყველა იმათ მოქმედებაც კავკაზიელებისათვის უნდა იყოს თავ-მოსაწონი...

ახლა, „შორს მხედველი“, ჰკვირობს და იძახის: „აი, დასწყევლა ღმერთმა! ამის დამწერი. რამ მოაგონა თქვენი ჭირიმეთ? ასეთი სიცრუე, ვის გაუგონია, რომ უმასალოთ შეიძლებოდეს რისიმე გაკეთება ან გაჩენა?“ ვეთანხმები ამ პატივსაცემს „შორს-მხედველს“ და მეც მიკვირს, ეგ შემთხვევა, მაგრამ საქმე კი ნამდვილად ეგრე გახლავს! დავიწყოთ რიგზედ: ქ. ვლადიკავკაზში მობძანდა, ვინმე „ჭკუით გამჭრიახე“ ბ. ბ—კი, რომელსაც არავითარი მასალა არა ჰქონდა თავის დასარჩენად, მაგრამ, როგორც ერთმა იმ გვარმა კაცმა, რომლების კავკაზიაში მყოფობას მე დარწმუნებული ვარ, სთქვა: „გაჩნდი 600 დესიატინავ საუკეთესო მიწისავ, შემკობილო სარწყავით, ჰაერით და გამოსავლობით“ და მაშინათვე გაჩნდა ამ გვარი მიწა! მერე სთქვა: „გაჩნდეს ამ ადგილზედ საუკეთესო სახლი; რომელიც ყველა მხრით და ყველა გზით მოწყობილი იყოს“ — გაჩნდა ამ გვარი სახლიც!!.. „გახდეს ეს ადგილი ჩემს საკუთრებათ,“ წამოიძახა ისევ იმ ღირს შესანიშნავმა ბ. ბ—კმა და როგორც სახლი ისე ხსენებული მიწა გათვიდა ამ წარჩინებულის და მართლაც განსაცვიფრებელის კაცის ხელში! ასე მანქანებით და თავის ჭკუის გამჭრიახობით, ბ. ბ—კმა, „არაფრიდგან“ გაჩინა ჩინებული სახლი და მამული ყოველის მხრით მოწყობილი. მაგრამ, ეს ხომ არა კმაროდა? იმას კი ეჭირებოდა, თავის ქვეყნის სასარგებლო საქმის დასაწყისათ: მუშა ხალხი და ფული. მართალია იმას შეეძლო ეთქვა, გაჩნდეს ამოდენი და ამდენი ყმა, რომლებიც ჩვენთვის მამულის შესამუშავებლად საჭირონი არიან და ისინი უეჭველად გაჩნდებოდნენ, მაგრამ ამ გამჭრიახმა კაცმა მაშინვე აშკარათ დაინახა, რომ თუ ყმები გააჩინა, ამ ჩვენს საუკუნეში, როდესაც ბატონ-ყმობა ეღარ თავსდება ხალხის მოთხოვნილებასთან და შეხედულებასთან იმას ან თითონ ყმები ჩააქავებდნენ და ან კანონი ჩამოართმევდა. ცოტა ჩააფიქრა ამ შემთხვევამ ბ. ბ—კი, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, რა გაუჭირდება იმ გვარს ჭკუა გამჭრიახს ხალხს, როგორიც ის ბრძანდება... არაფერი და ამიტომაც ბ. ბ—კმა დაიდო თითი შუბლზედ და სთქვა: „გაჩნდი ორმოც-და-ათო ყმა წვილო ბიჭო, ხნიერებით 18 წლიდგან 25 წლამდინ, საზოგადოებისათვის დაერქვასთ შაგირდები, რომლებიც ჩემთან მეურნეობასა სწავლობენ და საქმით კი იყავით მხოლოდ ჩემი მუშები, რომლებმაც ჩემგან გასვლის შემდეგ იმდენად უნდა იცოდნენ მეურნეობა და მიწის მოვლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველით, ეს სტრიქონები ვერ მიაწევენ მკითხველიბის თვალებამდის, თუ ცენზურმა წინ-და-წინ არ მონათლა, ან წინა-დაცვათა არ შეუსრულა იმას...

ეხლა მართებლობა აპირებს თურმე ამ უკანასკნელი გვარის ცენზურის მოსპობას და ამგვარათ მთელს რუსეთის მწერლობას აძლევს იმ გვარსავე ნებას, რა ნებაც აქვს მწერლობას სხვა განათლებულ ქვეყნებში.

სამხიარულო და საიმედო არის ეს მართებლობის გადაწყვეტილება. ბეჭდვა, რომელსაც ეძახიან მეშვიდე სახელმწიფოს (ექვსი ძლიერი სახელმწიფოებია ევროპაში) ძალა-უნებურათ შეიქნება საზოგადოების სურვილის ორგანი და საზოგადო სახელმწიფო საქმის წაყვანას შეეწევა ისე, როგორც შეეწევა სახელმწიფოს ორასი-ათასი დაიარაღებული ჯარი.

საზოგადოების სურვილის ორგანათ კი მხოლოთ მაშინ გახდება ბეჭდვა, როდესაც ექნება თავისი სურვილი გამოაცხადოს თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვით.

არ ვიტყვით იმაზე, თუ რამდენ დაბრკოლებას ხედავს ყოველ დღიური გაზეთი წინ-და-წინ ცენზურაში.

ეხლანდელს დროში, როდესაც ბეჭდვა ისეთივე სიჩქარით უნდა მიდიოდეს, როგორც რკინის გზა და ტელეგრაფი, ყოველ გვარი ისეთი სტანცია, როგორიც არის ცენზორი, რომელთან ორი სამი საათი ჩერდება გაზეთი, ადვილი მისახდომია თუ რაც დაბრკოლება იქნება გამომცემელთათვის.

ლელო.

## ახალი ამბები

—

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ყველა იმ რგა ბავშვმა, რომელთაც წელს დაასრულეს სწავლა თფილისის მაზრის სათავად-აზნაურო სკოლაში, მშვენივრად მისცეს ეგზამენიები გიმნაზიებში და გადვიდნენ მათში.

როგორცა სჩანს სკოლის კომიტეტი არც იმათ აკლებს თავის მზრუნველობას, რომელნიც ასრულებენ მის სკოლას და გადადიან გიმნაზიებში: გავიგეთ რომ ერთი ამ გვარი ბავშვი თავის ხარჯით შეუყვანია კომიტეტს კლასიკურს გიმნაზიაში.

*
* *

„ნოვოროსიის ტელეგრაფი“ გვაცნობებს რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის უმთავრესს უფროსს პრკასს, წინადადება მიუცია ქვა-ნახშირის მრეწველობის „მუთათურ ამხანაგობისათვის“ რომ მან მისცეს ფლოტისა და ნოვოროსიის გემთა-საშენისათვის საჭირო ქვა-ნახშირი.

*
* *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ქალაქის მეცხრე განყოფილებაში, თოთხმეტი წლის ყმაწვილს ვაჭრის ევრემოვის დუქანში გატენილი რევოლვერით თამაში დაუწყია, უცებ გავარდნია და სასიკვდილოთ დაუჭრია ერთი იქ მყოფთაგანი ვილაც შარაკოზოვი.

*
* *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ვიღაცა მღვდელს მღ. სუფსის და ბუბაზეულის შესაერთებელ ადგილს მოუნდომებია წყალისაგან მონაქონი ხის დაჭერა, რომლისთვისაც კავი მოუღვია, მაგრამ რადგან წყალი იმ ადგილს ჩქარი ყოფილა, თავი ვერ დაუმაგრებია, წყალში ჩავარდნილა და დამღრჩვალა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ახალ სენაკი, 6 სექტემბერს.** დღეს გახსნა ახალ-სენაკში ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. მარსოვმა ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომელშიაც ას ათი მთხოვნელთაგან იმავე დღესვე იყვნენ მიღებულნი ოთხმოცი ყმაწვილი, და ოც-და-ათს სხვას კი უარი ეყო უადგილობისა გამო და დაინიშნენ კანდიდატებათ. ამავე დღესვე გაიჭრა ბალავერი ახალი სკოლის ქვის შენობისა, რომელიც აკურთხეს და შემდგომ პარაკლისის [illegible] დირექტორმა უთხრა სიტყვა მაყურებლებს, რომელთაც შეადგენდნენ იქაური მაზრის უფროსი თანაშემწით და დანარჩენი ადგილობრივი მოხელეობა, ქალაქის და სოფლის წარმომადგენელნი და შაგირდების მშობლები. ამ სიტყვაში ბ. დირექტორმან განუმარტა მათ ნორმალური სკოლის დანიშნულება, უთხრა რას ასწავლიან ამ სკოლაში და რა შედეგი ექნება საბოლოვოთ აქ კურს-დასრულებულებს.

მერმე ამ სკოლის ზედამხედველმა ბ. ლომინაძემ უთხრა საზოგადოებას, თუ რა მოვალეობა მიუღია მას თავის თავზედ და რა რიგ დახმარებას მოელის იგი საზოგადოებისაგან და სხვ.

საზოგადოება ისე გახარებული იყო ამ სკოლის გახსნის გამო, რომ გეგონებოდათ დღევანდელი დღე ეპოქას შეადგენდა მათს ცხოვრებაში. ადგილობრივმა საზოგადოებამ ამ დღესვე გამართა სადილი, რომლის დროსაც ჩვეულებრივი, ღვინით შეხურებულნი სიტყვები წარმოითქვა.

დასასრულს უნდა ვთქვა, რომ სენაკის მაზრელები ძალიან მხნედ ეკიდებიან ამ სკოლის საქმეს და იმედიცაა რომ ყოველის მხრით კარგად მოუმართევენ ხელს. ამბობენ რომ ამ სკოლის შენობას 10.000 მანეთამდე მოუნდებაო, მაგრამ სენაკელები

---

რომ მეჯინიბობაც შეეძლოთ *) როგორც ისურვა ისე კიდეც მოხდა! ზაუჩნდა ორმოც-და-ათი ჩინებული ლონით სავსე მუშა! ახლა დაიბადა კიდევ ერთი სიტყვა:—ეს მუშები ხალხი იყო, ხალხს კი ჭამა, სმა და ტანთსაცმელი უნდოდა, თუმცა კი ბ. ბ—კს ძალიან სურდა რომ ეს საძაგელი თვისება მუშა ხალხს არა ჰქონდათ და მაშასადამე ამისათვის ფული იყო საჭირო, რომელსაც რაღაცა მიზეზით ველარ აჩენდა. მაგრამ რა გაუჭირდება იმ გვარტომობის ხალხს რომელზედაც ამბობენ, რომ: „მაიმუნიც კი თურმე იმათ მოუგონიათ!“ მაშინვე იმან მოაწყო შემდეგი აზრი: „ხალხს ხომ ისე ჰგონიათ, რომ მე საჭეურნეო სასწავლებელსა ვხსნი, რომელშიაც შაგირდებს ბაღოსნობასაც ვასწავლი. მაშასადამე ჩემგან მომზადებული „მეჯინიბეებ“... ფუი, დალახვრა ღმერთმა!.. აკი წამოგვცდა... მებაღეები, საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება და მაშასადამე იმათზედ ზრუნვაც საზოგადოების საქმე უნდა იყოს და საზოგადოებამ უნდა იზრუნოს!.. ხედავთ როგორი გამჭრიახი აზრი ჰქონია ამ ჩინებულს და მრავალის მხრით ქვეყნისთვის სასარგებლო კაცს. ჭეშმარიტათ ამ გვარი ხალხის მოსვლა ჩვენს ქვეყნებში, დიდს სარგებლობას მისცემს ხალხს და აღმოაჩენს იმ სიმდიდრეებს, რომლებიც ჩვენს მამულებში ეხლა ისე უსარგებლოდ ჰყრია!...

ჩინებული აზრია, ჩინებული!... სწორეთ ნემეცური ფილოსოფიაზედ არის აშენებული და ნემეცისაგან გამოგონილი! როგორც ბძანა ბ. ბ...კმა ისეც მოიყვანა აღსრულებაში თავისი ნათელი აზრი და საზოგადოებას მიაცემინა ჯამაგირი თავის მუშებისათვის... არა, ღმერთო! რა მომივიდა?.. კიდევ არ წამომცდა!... თავის მუშებისათვის კი არ მიაცემინა ჯამაგირი, არამედ გადაახდევინა, იმ ბავშვების აღსაზრდელათ საჭირო ხარჯი რომლებიც სწავლის გათავების შემდეგ, მეჯინიბეობასაც კი შეიძლებენ. საზოგადოებამ დაინახა სამართლიანი თხოვნა ბ. ბ...კისა და თითო მუშაზედ, ესე იგი შაგირდზედ 180 მანეთი დაუნიშნა!... ნახეთ ბიჭი! მაგის გარეთ სასწავლებლის პირველ გასამართავათაც ხომ დასჭირდებოდა ფული... რასაკვირველია, რომ დასჭირდებოდა და საზოგადოებამ აქაც ხელი გაუმართა და პირველ დასაწყისისათვის მისცეს „შვიდასი თუმანი“. ბ. ბ...კი გახარებული და გაბედნიერებული შეიქნა ერთი უმდიდრესი მემამულე, რომელსაც გარს ახვევია იმ ადგილების ძველი პატრონები და დაღონებულნი გულთა-ძგერით შეჰყურებენ იმ უსამართლო ქვეყნის ჩარხს, რომელიც ხან ვის მოაქცევს ზევიდგან და ხან ვის!...

ეხლა ბ. ბ...ბეკმა გაყიდა ნახევარი ამ მიწისა, ესე იგი, 300 დესეტინა, თითო 50 მან. და შედგა ფული 15000 მან., რომელიც მოახმარა დანარჩენს თავის მამულს და ისე რიგათ შეიმუშავა ეს დანარჩენი, რომ ეხლა თითო დესეტინა 400 მანეთად არ გაიღება და რომელზედაც ბაღი გააშენა იმას ხომ ფასი აღარ დაედება... დროებამ გაიარა, ბ. ბ....კი შეიქნა თითქმის 200,000 მან. მქონებელი და წავიდა ამის საქმე კარგათ. შეგირდები რაღა იქნენ?... შეგირდები წავიდ-წამოვიდნენ, რათა მეჯინიბეობით მაინც ეგება ეშოვნათ თავის დასარჩენი ლუკმა....

საზოგადოებას ისე მოსწონებია ამ პატივ-საცემის და ღირს-შესანიშნი კაცის ყოფა-ქცევა, რომ ეხლა ხელმეორედ მისცეს შაგირდები (თუ მუშები) ნამდვილს ბ. ბ...კს და იმათ შესანახი საჭირო ხარჯი კა თავის თავზე მიუღიათ... მგრეც უნდა იყოს, მაშ რა ქაქკასიელნი ვართ, თუ ვიღაცა გადმოხვეწილების საჭმელათ არ გავხადეთ ჩვენი სიმდიდრე?

—

ახლა გადმოვხედოთ ჩვენ საქართველოს, აქაც ხომ არ ხდება ამგვარი საქმეები?... დიახ ხდება, ხდება მით უფრო ძლიერად, რომ ის რომელიც ავწერეთ, თუმცა ქვეყნის სიმდიდრეს თავის სასარგებლოდ ხდის, მაგრამ გააკეთა მაინც რამე? ბ. ბ....კმა გააკეთა ისეთი ბაღი, რომლიდგანაც თბილისში მოტანილის ხილით ყველა მნახველი გააკვირვა, როგორც ხილის სიდიდით ისე გემოვნებით. ეხლა ყველას შეუძლიან იქიდგან ხეხილი მაინც არის მოიტანოს და ჩარგან თავთავიანთ გახრეკილ ბაღებში; მაგრამ რას იტყვით იმ ხალხზედ, რომელიც იმედებს გაძლევენ ამა და ამ ადგილებზედ არხებს გავიყვანთო სამაგალითო ფერმებს გავიკეთებთო და ამ მაღალი ფრაზებით ხალხს თვალებს უბმენ და ამ ვითომ ხალხის სასარგებლო აზრებით საქვეყნო ადგილებს იგდებენ ხელში და რაკი შეიქნებიან იმ ადგილების პატრონად დაუფერებლივ ყველა შემხვედრზედ დაუწყებენ სყიდვას... ასეთი საქმე მოხდა ჩვენი ქალაქის ნაპირზედ, რკინის გზასთან; ჩაიგდო მამული ვინ იცის საიდგან გადმოხვეწილმა და ყველა დაპირებულის აღსრულების მაგივრად ის თავის სასარგებლოთა ჰყიდის ხელში ჩაგდებულს ადგილებს!... და ესა ხდება მაშინ, როდესაც მომეტებული წილი ქალაქის ძველი მემკვიდრეებისა, მიწის უქონლობით, თითქმის პიროტყვის სოროების მსგავს ქოხებში სცხოვრებენ და ძალა-მქონებელი ბ. მდიგაროვი კი მთელს ერთს თბილისის ნაწილს ხალხს ერეკება თავიანთ მამა-პაპეულის ადგილიდგან და ამ უკანასკნელებს კი ადგილი ველარ უშოვნიათ სად დასახლდნენ!... ეს მაგალითები პირველი და უკანასკნელები არ არის და შეიძლება კაცმა ათასობით ჩამოგითვალოსთ ამ გვარი შემთხვევები, მაგრამ ეს ორი შემთხვევაც ისე ნათლათ გვიჩვენებს საქმის მდგომარეობას, რომ სხვა მაგალითების მოყვანა საჭირო აღარ არის. ერთი სიტყვით ეხლა ჩვენი ქვეყნები სამსე არის, იმ გვარის ხალხით რომლებთაც თქმის მეტი არა ეჭირებათ-რა, რომ

---

*) ერთი ამ გვარ შაგირდთაგანი იმეორებს, ერთს ამ ქვეყნიურს ძალასთან მეჯინიბეთ და ეს შორს მხედველი ამბობს, რომ ჩინებულად აღუზრდია ბ. ბ—კს თავის შაგირდები, რადგანაც ცხენების მოვლაც კი იციანო და ჩინებულათ იურვებენო.

ამას არ სწუხან; ისინი ამბობენ: „ოღონდ კარგი მასწავლებლები მოგვეცით და სხვა ჩვენ ვიკითო“.

ა. ნიჟარაძე.

**ახალციხე**, 7 სეკტემბერს. მოგვივიდა ჩვენც „დროების“ ნომრები, რომელშიაც დაბეჭდილი იყო იერემიის გოდება ჩვენს მდგომარეობაზედ. იმის სიტყვებს დამატება აღარ ეჭირება, რომ შეიტყოთ ჩვენი ავ-კარგიანობა, მაგრამ მე საჭიროთა ვხედავ რამდენიმე სიტყვა შეგატყობინოთ ჩვენი ქალების შკოლაზედ, რომელზედაც მზრუნველობა არის მიარდნილი ქველ-მოქმედ საზოგადოებაზედ. ვიდრე საქმე ახალი იყო, ვიდრე შკოლის საქმე ამ საზოგადოებას მიაჩნდა დროს გასატარებელ საგნათ, ყველანი გულ-მხურვალეთ ეკიდებოდნენ და ყველა საშუალებასა ხმარობდნენ იმის ასაღორძინებლად, მაგრამ რა ცოტა დრომ გაიარა, შეხურებული ახალის საქმით წევრნი, განელდნენ, წყნარ-წყნარათ მიანებეს ამ საკეთილო საქმეს თავი და უზრუნველად გაუბრუნდნენ სხვა რიგს დროს გატარებას. წარმოიდგინეთ, რომ ამ საზოგადოებამ, რომელმაც დაწყობაში თავიანთ წესდებაში შეიტანა სურვილი, კიდევ სხვა შკოლების გახსნისა და არ დაკმაყოფილდება მარტო ამ ერთის გახსნით, შარშან ერთი გროში არ წარმოდგენილა არც წევრის გარდასახადი და არც სხვა გვარად მოგროვებული ფული. წლევანდელს წელს, რის ყოფითლა მოაგროვეს წევრთ გადასახადი, ისიც სულ 70 მან. ესე იგი შვიდი წევრის გადასახადი, რომელნიც 10 მან. ხდილობენ.

მე არ დავიწყებ შკოლების სარგებლობაზედ და საზოგადოების მოვალეობაზედ იმათ შესახებ, ლაპარაკს, რადგანაც ყველამ კარგათ იცის რა სარგებელიც მოაქვს შკოლებს და რამდენად მოვალეა საზოგადოება იმათი გამართვისა, მხოლოთ მე მინდა გითხრათ, რომ ეს ქალების შკოლა რომელზედაც მე ლაპარაკი მაქვს გასაჭირზედ უფრო გასაჭირია ქ. ახალციხისათვის და ნამეტნავათ ერთი ამ ქალაქის ნაწილისათვის, სადაც ეს შკოლა გამართულია და სადაც მომეტებული წილი ქართველები არიან და მაშასადამე შეუძლებელნი. სხვა ქალაქის ნაწილებში დაჭარბებით სომხები არიან და თავიანთვის შკოლებიც აქვს გამართულნი და კარგათაც მიჰყავსთ საქმეები, მაგრამ ამ შკოლას რომელზედაც მე გელაპარაკებით, არა უხუმრო შემწეობა და ყურადღების მიქცევა ეჭირება და თუ ეს არ მოხდა სამწუხაროთ, ისე უსწავლელნი, ცხოვრებისთვის მოუმზადებელნი უნდა დარჩნენ იქ მყოფი პაწაწუნა ქალები რომლებიც შინ სიღარიბისა და შიმშილის მეტს ვერასა ნახავ.

ამ შკოლაში სწავლობდნენ რუსულს და ქართულს წერა-კითხვას, გეოგრაფიას, არითმეტიკას და ხელ საქმეს. ერთი სიტყვით სწავლობდნენ იქამდინ, რომ შეეძლოთ შინ დაბრუნების შემდეგ უბრალო მეტ ტვირთათ რ აჰკიდებოდნენ თავიანთ დედ-მამას, და თავ დასარჩენი ლუკმა მოეპოებინათ თავიანთ შრომით, მაგრამ თუ ეს ერთი საცოდაობის შველაც დაიხურა მაშინ რაღა ეშველება იმდენს ხალხს, ან რაღა უნდა გააკეთონ?..

მთელი ხარჯი ამ შკოლას უნდება:

| | |
|---|---|
| ქართულ-რუსულის მასწავ. | 400 მ. |
| ხელ-საქმის მასწავლებელს | 150 მ. |
| სახლის ქირა. . . . . | 100 მ. |
| წვრიმალი ხარჯი . . . | 100 მ. |
| სული . . . . . . . . | 750 მ. |

აი ბატონო ხარჯი და შემოსავალი კი სულა აქვს:

| | |
|---|---|
| ქალაქისაგან . . . . . . | 300 მ. |
| წევრთაგანაც. . . . . . | 70 მ. |
| სულ . . . . . . . . | 370 მ. |

მაშასადამე შემოსავალს გარეთ კიდევ უნდება 380 მ. რომელიც ღმერთმა იცის რამდენის წვითა და დაგვით გროვდებოდა აქამდინ და ეხლა-კი რაც ასე გული აიცრუეს ამ საზოგადოების წევრთა ძალიან საეჭო შეიქნა ამის მოგროვება და შკოლას უსათუოთ დახურვა მოუნდება. თუმცა მართალია ბ. ბრემელი სარგებელსაცა ხედავს ამ შკოლის დახურვაში, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ამ უცნაური აზრით ამ პირის მეტი აღარავინ მოიპოვება. თითქმის ქალაქის ნახევარს მარტო ერთი სკოლა ჰქონდესთ და იმის დახურვაშიაც სარგებლობასა ხედამდნენ?!.

არ იქნებოდა ცუდი, რომ ჩვენ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ყურადღება მიექცია, ამ საქვეყნო სასარგებლო საქმისათვის და იმედი გადაეწყვიტა იქაურს ქველ-მოქმედს საზოგადოებაზედ, რომელიც ყოველს საქმეს დროს გასატარებელათ უყურებს და რამწამს საქმე ჰკარგავს თავის სიახლის ლაზათს, მაშინვე თავს ანებებენ და ეძებენ უფრო მსუბუქ დროს გატარებას.

ა. მ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და უმაწვილების ავათმყ., ქიუჩარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათ-

შეიქნენ ყოელის ფრით პატივ-ცემულნი და გამდიდრებულნი. აბა რომელი სამზღვარს გარეთი ქვეყანა გვიჩვენებს ამისთანა ნიჭიერს ხალხს?... არც ერთი! და ამისათვისაც მე და ჩემი „შორს მხედველი“ მკითხველი უკიჟინებთ იმათ „ოლო თქვენ! ჩვენ კი გვყავს და თქვენ კი არა! ფუჭ, თქვენი გამამგონი ედისსონ...... დანარჩენი გამამგონნიც!..“

—

ქალაქში კიდევ იმყოფება ერთი გმირი, რომელიც სწორეთ ამერიკელს პლანტატორს ემგზავსება; ნამეტნავათ მაშინ, როდესაც თავის გასიებულს თავზედ დაიხურავს საზაფხულო ჩალის შლიაპას, ხელში აიღებს გძელს შოლტს და სმისაგან გაწითლებულის სახით, გადმოტრიალებულის თვალებით დაბძანდება თავის პავილიონში, რომელიც ქვეყანამ გაუმართა იმას და გასამართად არც ფული შეიშურვა და არც საუკეთესო ადგილი, როგორიც არის შაბაზის (ალექსანდროვსკის) ბაღი. ეს გახლავს ბ. შენინგი, რომელიც განრისხებული დადის სტოლებსა და სტოლებს შუა და ერეკება ძაღლებს! ამგვარს დროს გატარებას ისე შეჩვეულია ეს პირი, რომ თუ ძაღლებს ვეღარა ჰპოულობს, მოსამსახურე ბიჭებზედა სცდის თავის შოლტის მოქმედებას. მთელი ამ პატივსაცემი კაცის გამოგონება ან ძაღლების რეკაში არის და ან ბახუსთან მუსაიფში, რომლისაც ერთგული მოსამსახურე მონა შექნილა. მაგრამ, იქნება ამას გულადობის მოსამატებლათა ჩაიდენდეს, რადგანაც ის უეჭველია მოელის, რომ ოდესმე ძაღლისთვის მოქნეული შოლტი მოხვდეს იქ მოსიარულე ვინმე სტუმარს, რომელიც ძაღლსავით წკმუტუნს არ მოჰყვება და პასუხის მიგებას მოიწადინებს!... ბ. შ...გი, როგორც ნემეცის გვარტომისა და მაშასადამე უეჭველად ფილოსოფოსი, აშკარათა ხვდავს მომავალში ამ აუცდენელს შემთხვევას და სვამს იმისთვის, რომ ძველადვანვე თქმულა:

„მაგრამ ღლეული ვაჟ-კაცი,
ან მოჰკლავს ან შეაკვდება!...“

ერთი სიტყვით, რა არის ამ გვარი ყოფა-ქცევის მიზეზი, ფილოსოფიური გამოკვლევა, თუ ბახუსის უბრალო სიყვარული, ეგ ორივე ერთია ჩვენთვის, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ პაველიონისათვის სრულებით თავი მიუნებებია და იმისი საქმეების წყობილება მიუნდვია ვიღაცა „. . . . . . .“ ურიასათვის, რომლის მოქმედებაც ყოველ გვარს რიგიანობის წრეს გადასულა. საზოგადოებამ გაუმართა ეს ადგილი ბ. შენინგს იმ აზრით, რომ აქ სულის ამოსასუნთქი ადგილი ჰქონოდა და ბ. შენინგს კი ჩაუგდია ვიღაც „რჯულ დატევებული ურიის ხელში“ და ეს უკანასკნელი კი თავის გაუმაძღრობით და თვალ ხარბობით არამც თუ სულს უბრუნებს საზოგადოებას, არამედ სულსა ხუთამს და ტყვეს იძრობს იქ მისულს ხალხს, ნუღარ ვილაპარაკებთ იქ საჭმელების სიძვირეზედ—ეგ სად არ არის ქალაქში—მაგრამ ერთი ათად, ფასს რომ იღებენ, ის მაინც უნდა ჰქონდეთ მხედველობაში, რომ აყროლებული, წამხდარი ხორცი და მასალა არ მოგიტანონ?.. იმას თვალ-ხარბობა მარტო ხალხის ყვლეფით არ თავდება ამ „სჯულ დატევებულმა ურიამ,“ მოიწადინა თავისი მოსამსახურების იმ გროშებითაც-კი ესარგებლნა, რომელსაც იმათ თითო შაურობით ახუქებენ, იქ პურის მჭამელები! თუმცა ყველა რესტორანში, ყველა ამ გვარს, პავილიონებში, გოსტნიცებში, მოსამსახურების პურის ჭამა, პატრონის საქმეა, მაგრამ ამ ურიამ აღუკრძალა თავიანთ მოსამსახურებს იქ პურის ჭამა ასე რომ იმათ სტუმრების ნარჩომითაც ვერ შეუძლიანთ სარგებლობა შიმშილის მოსაკლავად და ყოველი გვარი სუფრიდგან აკრეფილი ნარჩომი უნდა კუხნაშივე დაუბრუნონ, რომელსაც ახმარებენ მასალათ შემდეგის დღეების საჭმელებს და ერთხელ გაყიდულს მეორეთა ჰყიდიდნენ. ერთს დღეს დიდი მუშტარი ყოფილიყო და დილიდგან სალამომდინ ერთს ბიჭს ვერ მოეცალა თავისათვის პურის სყიდვა! სალამოზედ სტუმრები ისეთს დროს დაშლილიყვნენ, როდესაც დუქნები დაკეტილი ყოფილიყო და ხორაგეულის სყიდვა აღარ შეიძლებოდა. ამ ბიჭს მეტათ შიებოდა პური და ვახშმიდგან ანაკრეფი პური აილო და შეეჭამა.

წარმოიდგინეთ, რომ ამისთვის ის ერთის ლანძღვით და გინებით გაგდოთ იქიდან და სრულებით უმუშაოთ დარჩენილიყო!.. მეორე ბიჭი გამხდარიყოთ ავათ და იმისათვის, **თავის ხარჯით**, ჩაის გაკეთება ნდომოდათ იმის ამხანაგებს, რისთვისაც ბუფეტის სამოვრიდგან ჩამოესხათ ადუღებული წყალი. როგორ თუ თქვენ ადუღებული წყალის ჩამოსხმა გაბედეთო, მიეყოთ ბატონო ამ ურიას პირი და ისე გაეხადა მთლათ ეს ბიჭები, რომ ძაღლი პურს აღარ გამოართმევდა! მოსამსახურეებმა იჩივლეს შენინგთან თავიანთ შეურაცყოფაზედ, მაგრამ ღვინის ძალისაგან გაბჟინთილმა ბ. შენინგმა წაილუღლუღა რაღაცა გამოურკვეველი სიტყვები, და გაერთო ისევ „ფილოსოფიურს ოცნებობაში. რადგანაც ბიჭებმა დაინახეს, რომ იმათი ლანძღვა, გინება და მდგომარეობა არის დამოკიდებული ვიღაცა . . . . . . . ურიაზედ, მაშინვე ყველამ თავი დაანებეს და გამოვიდნენ ამ პავილიონიდგან.

ბ. შენინგი?.. რასა ჰფიქრობს ამ თვენს არეულობაზედ?.. განა მაგის პირობას აძლევდა საზოგადოებას, როდესაც პაველიონის გასახსნელს ფულებს და ადგილს აძლევდნენ?..

არა ის მაგ პირობებს არ აძლევდა და იმან ძლიან კარგათ იცოდა, რა რიგის გამლაზათიანებელის სიტყვებით უნდა შეეფერებინა თავისი სიტყვები, მაგრამ ის იქამდინ ეფერებოდა საზოგადოებას სანამ თავის სურვილს აასრულებდა და რაკი აასრულა, ეხლა რაღა საჭიროა საზოგადოება?

იმან ძილიან კარგათ იცის, რომ მთელს საზოგადოებას, მარტო შენინგის პავილიონი აქვს სულის ამოსაქცევათ იმ ცხელს ზაფხულებში, როგორნიც აქ იცის, და მაშასადამე, ვის როგორც უნდა მოექცეს, გულნაკლულები წავლენ-წამოვლენ და ისევ შენიგთან უნდა შევიდნენ.

იმიტომაც არიან ეგ ხალხი საკვირველები, რომ ნემენცები და ნემენცურს „ფილოსოფიაზედ“ აღზდილნი ეგენი თუ ჩაიგდებენ საზოგადოებას ხელში, კარგათაც დაბღუჯამენ და რომ დასაბღუჯათ ყველაფერს ხელსა ჰკიდებენ მაგას აშკარად დაინახამთ თუ ცოტაც არის დაჰფიქრდით.

ა. მოხსუბარიძე

მყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაზოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაზოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაზოვი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ხ ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარათოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალმბისათვის.

# განცხადებანი

—

**თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა სკოლის გამგეებელი კომიტეტი აცხადებს:**

1880 წ. ენკენისთვის 6 კენჭის-ყრით თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მიღებულ იქმნენ—საზოგადოების **ხარჯზედ:** ლევან ჟურული, ვასო ტატიშვილი, და დათიკო ხიმშიაშვილი.

**მშობლების ხარჯზედ,** ოც თუმნიან პანსიონერებათ:—გიორგი სავანელი, დათიკო მურვანიშვილი, თადეოზ კობიევი, სანდრო ფურცელაძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, მიხეილ რატიშვილი.

სახელსა და გვარს ათის ბავშვისას, რომელნიც გარედამ მოსიარულეთ არიან მიღებულნი, არ ვაცხადებთ, რადგანაც ყველა ისინი გამოცხადდენ კიდეც სკოლაში. თუ ამ ენკენისთვის გასვლამდის არ დაიჭირეს თავიანთი ადგილები სკოლაში ზემოხსენებულმა ბავშვებმა, მაშინ იმათ მაგივრად იქნებიან მიღებულნი სხვანი, კანდიდატათ ჩარიცხულნი...

(3—1).

---

ნაფიცი ვექილი
**სერგეი ვასილიევიჩი**
# ჩემესოვი
სცხოვრებს სოლოლაკში, ბოზნესენის ქუჩაზე, სახლი № 33.

(3—1)

---

კ. ნ. სობოლევი
აძლევს გაკვეთილებს
**რუსული და ლათინური**
ენებიდამ.
ლაბორატორიის ქუჩა № 33.

(2—1)

---

რ ე ს ტ ო რ ა ნ ს
# შვეიცარიაში

გოლოვინის პროსპექტზე თ. მუხრანსკის სახლებში 14-ს სეკტემბერს, კვირას, იქნება **მუზიკალური** საღამო, ხორო სამხედრო მუზიკისა, იწყება საღამოს 7 საათზედ.

---

მომავალი ოკტომბრის პირველიდამ ამა წლისა ვხსნი ქ. **გორში** სახლს, რომელშიაც ამ წლობით, ე. ი. მამავალ 1881 წლის ენკენითვემდი, **მიიღებიან** თხუთმეტიდამ ოცამდე **მოსწავლე ბავშვები** რომელთაც ექნებათ საწოლი, სასადილო და საკითხავი ოთახები. ამავე სახლში მიიღება ჯერ-ჯერობით მუქთად ერთი რომელიმე ძალიან ღარიბი მოსწავლეთაგანი, ვინემ ადგილობრივს სასწავლებელს გაათავებდეს; ამასთანავე ბავშვებზე იქნება ზედამხედველობა მათის ზნეობის დასაცველად და სწავლაზედ თვალის დაჭერა. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ პირობების და ფასის შესატყობლად ქ. გორში, საკუთარს სახლში.

ალალო თუთაევი.

(10—3)

---

# ზომიერ ფასით

ორივე სქესის ყმაწვილებს მიიღებენ პანსიონერებათ და სანახევროდ პანსიონერებად და პროგიმნაზიის კურსის საგნებიდამ გაკვეთილებს აძლევენ. ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, ყოფილს სამხედრო კრების მახლობლად, მურაეიევის სახლი. (4—2)

---

**პატენტიანი შროტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—50)

---

ქ. გორში გაიღო
# მარიამ კერესელიძისაგან
ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ-გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

В Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.

(12—9)

---

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ხლა 2 მაეთად ღირს.

(100—36)

---

# ისმინეთ, შეხედეთ და გაიკვირეთ!

ამ ცოტა ხანში გაკოტრდა ერთი დიდი ფაბრიკათაგანი, რომელიც „ბრიტანია“-თ წოდებულ ვერცხლით ვაჭრობდა. ამ ფაბრიკისაგან ჩვენ მივიღეთ „ბრიტანია“ ვერცხლის საქონელი, რომელსაც ზედ აკრავს ფაბრიკის დაღი „ნამდვილი ბრიტანია“ და ვჰყიდით ყოველ ნაირ ფასად, ანუ უკეთ ვსთქვათ

**მუქთად**

ვაძლევთ. ვინაც 7 მან. ქაღალდის ფულად გამოგზავნის იმას შემდეგი ნივთები გაეგზავნებათ ღირებულზე ოთხ-ჯერ უფრო იაფად:

6 ცალი მშვენიერი სტოლის დანები, ტარი აქვს „ბრიტანია“ ვერცხლისა, პირი ნამდვილი ინგლისური.
6 — — მშვენიერი ჩანგლები, ერთიან „ბრიტანია“ ვერცხლისა.
6 — — მშვენიერი სტოლის მძიმე დანები.
6 — — საუკეთესო ხარისხის საყავე დანები.
6 — — „ბრიტანია“ ვერცხლის ბოძკინტი.
1 — — საწვნე მძიმე კოვზი.
1 — — საყავე მძიმე კოვზი.
6 — — ინგლისური ტაბაკები (ფოდნოსი) „*victoria*“ მშვენიერად მოხატული.
2 — — კოხტა სტოლის შანდალი.
1 — — ჩაის საწური „ბრიტანია“ ვერცხლისა.
1 — — ფინჯანი შაქრის ანუ პილპილის შესანახავი.
6 — — მშვენიერი ნალბაქი კვერხის ანუ ვოდკისათვის.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის საყავე სქემა.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის კალათი მწვანილისათვის.

სულ 50 ნივთი წინედ 70 მან. ღირებულნი და ეხლა კი 7 მან. ეს ნივთები „ბრიტანია“ ვერცხლიდამ მშვენიერად არიან გაკეთებულნი. ეს ვერცხლი ერთად-ერთი ლითონია, რომელიც მუდამ თეთრად არ რჩება, ასე რომ 25 წლის ხმარების შემდეგ განირჩევა ნამდვილ ვერცხლისაგან. ამის პასუხს ვაგებთ.

ერთად-ერთი ადგილი მთელი ევროპისათვის, სადაც შეიძლება ეს ვერცხლი შეუკვეთონ არის უმთავრესი დეპო ინგლისის ფაბრიკის „ბრიტანია“ ვერცხლისა. ადრესი:

*L. Nelkeu*, ვენაში (*VI, Vindmuhlgasse* № *26, Wien*).

ჩემი განცხადება რომ ტყვილი არ არის ამის დამამტკიცებლად აქ გავიმეორებ ქების წერილებს და მადლობათა და განმეორებულს შეკვეთებას რომელნიც მრავალი მიმიღია მთელი იმპერიიდამს და პოლშის სამეფოდამ: ქსენ. ლავრინოვიჩი ვორონოვიდამ; მაიორ სოკოლოვსკი—მოლდავა, ად. პრჟიბოროვსკი—პენცინე, კ. კორესინკი გოროდინში, მ. ხმელნიცკი—სპისეკ, ი. პლიურსკი—მეძიანა და სხვ. და სხვ. ავსტრი—ვენგრიიდამ—მარიამ თ. აუერსპერგ ნიდერშტატში, ვირტემბერგ, ლენერალი ფაბრიცინა რააბში, ი. რაბე სებასტიანბერგში, თ. სამლერი ეგერში, იოს. კიხბერგერი სალცბურგში, გერარდ ერხი ბაჩევოში, ნოტარიუსი იმარე-მოლნარი ვრას ბეცეკერეკში, იოს ნეიდეკერი გმუნდენში, დიმიტრი კოპიც—არად. იოს შოდერბეკ კაინისში და სხვ. და სხვ.

რადგანაც ბევრი გვიკვეთენ ამ ავეჯეულობას, მსურველებს ვთხოვთ მალე გვაცნობონ თავიანთი მოთხოვნილებანი. შეკვეთის დროს გთხოვთ ცხადათ და გარკვეულად ამოიწეროთ ადრესი, რომლითაც ავეჯეულებანი გამოიგზავნებიან. გადასახადი და სხვა ხარჯი გაგზავნის დროს ერთობ ცოტაა და, ვგონებთ, ერთი მან. მეტი არ იქნება. სხვა ფირმებისაგან განცხადება ამ ავეჯეულებაზედ მხოლოდ მიბაძვაა.

(6—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი